

დადგენილება № ცვ-0834-21
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

30 სექტემბერი, 2021 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): სს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ შვანგირაძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2021 წლის 30 სექტემბერი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი გოგიტა ჭაფოძე, პირადი №17001026002, დაბ. 1985 წლის 6 მარტს, ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუამთა.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2021 წლის 24 სექტემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმურში, აბონენტ მამულო ჭაფოძის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერჯის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ გოგიტა ჭაფოძეს ელექტრობოძიდან ჩამომაგალ კაბელზე მრიცხველამდე დაერთებული ჰქონდა არალეგალური სადენი, რომელიც შედიოდა მის საცხოვრებელ სახლში. შემოწმების დროს მრიცხველი მოხმარებულ ელექტროენერჯიას არ აღრიცხავდა და დატაცებული ელექტროენერჯის რაოდენობა შეადგენდა 10,1 ამპერ დენს, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს იმავე დღეს შეუწყდა ელექტროენერჯის მიწოდება ადმინისტრაციული საქმის განხილვამდე. გოგიტა ჭაფოძის მიმართ 24.09.2021 წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას №008461 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, იგი აღიარებს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობას და განმარტავს, რომ აღნიშნული სადენი დააერთა თავისი ხელით. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. გოგიტა ჭაფოძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 24.09.2021წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი №1567714, რომლითაც დასტურდება გოგიტა ჭაფოძის მიერ ელექტროენერჯის დატაცება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი),

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

რომელთა მეშვეობით დგინდება გოგიტა ჭაფოძის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის დატაცება. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა და 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც გოგიტა ჭაფოძემ მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228²-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილებების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 17.09.2010 წ. RU №2010009 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 30.06.2021 წ. OR №2021018 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი გოგიტა ჭაფოძე, პირადი №17001026002, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: _____

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ტარიელ შვანგირაძე,
კომისიის თავმჯდომარე